გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 88

2024 წლის 14 ივნისი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის №3 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 10 იანვრის № 4 განკარგულების საფუძველზე, აუქციონი შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმდა №7 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1694 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.013) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში. შპს „აგრო მოლმა" (ს.ნ 418476125) ნანა პეტრიაშვილისგან შეიძინა ზემოთ ხსენებული მიწის ნაკვეთი და გააერთიანა თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთთან ს/კ 66.46.26.003.095 (გაერთიანებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდია 66.46.26.003.614), შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე უფლებამონაცვლე გახდა შპს „აგრო მოლი" (ს.ნ 418476125).

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულიიყო შპს „აგრო მოლი"-ს (ს.ნ 418476125) განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ შპს „აგრო მოლი"-ს (ს.ნ 418476125) მიერ მიწის ნაკვეთის შეძენამდე აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არ ჩატარებულა არანაირი სამშენებლო ან შესამზადებელი სამუშაოები მშენებლობის დაწყებისა და არსებული პირობის შესრულების მიზნით. შესაბამისად, შპს „აგრო მოლი"-ს (ს.ნ 418476125) არსებული პირობის შესასრულებლად ფაქტობრივად ვადა განესაზღვრა არა 2 წლით, არამედ პირობის შესასრულებლად დარჩენილი ვადით, დაახლოებით ერთი წლით. დარჩენილი ერთის წლის განმავლობაში, ქვეყანაში არსებული ეპიდემიური ვითარების გამო მნიშვნელოვნად გართულდა მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელება, რამაც ხელი შეუშალა ზემოხსენებული პირობის მოცემულ ვადაში შესრულებას. განმცხადებელი აგრეთვე აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე

ჩასატარებელი იყო გრუნტის გამოცვლის და დაჭაობებული მიწის გატანის სამუშაოები, სხვა შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე ვერ მოხდებოდა განაშენიანება. შესაბამისად, როგორც განცხადებით და წარმოდგენილი ფოტო მასალით ირკვევა, კომპანია „აგრო მოლმა“ მიწის ნაკვეთზე ჩაატარა შემდეგი სახის სამუშაოები: მიწის ნაკვეთზე გამოცვალა გრუნტი, მოაწყო სადრენაჟე და სანიაღვრე კოლექტორები, გამოიტანა დაჭაობებული მიწა. მიწის სამუშაოების წარმოებისას გრუნტში დამონტაჟებული იქნა სადრენაჟე სისტემა, ხოლო მიწის პერიმეტრზე მოწყობილი იქნა კაპიტალური რკინაბეტონის სანიაღვრე არხი. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ კომპანია შპს „აგრო მოლი“ (ს.ნ 418476125) აქტიურად ახორციელებდა მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე სავაჭრო და სხვადასხვა კომერციული დანიშნულების სივრცეების განთავსებასა და კეთილმოწყობას. ზემოხსენებულ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი იყო არანაკლებ 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება (მშენებლობის პროექტი შეთანხმების პროცესში იყო), რაც მეტად მნიშვნელოვანი იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აგრო მოლი“ (ს.ნ 418476125) ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ორი წლით, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2022 წლის 12 აგვისტოს №151 განკარგულებით მისცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1694 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.013 (ახალი ს/კ 66.46.26.003.614)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, რის შედეგადაც შპს „აგრო მოლი“-სთან (ს.ნ 418476125) გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „აგრო მოლი“-ს (ს.ნ 418476125) განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს „აგრო მოლი“ (ს.ნ 418476125) გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად აწარმოებს მშენებლობას. ამ დროისთვის მის მიერ უკვე წარდგენილია მშენებლობის ეტაპის დასრულების 4 (ოთხი) ოქმი და დარჩენილია მხოლოდ ერთი სამშენებლო ეტაპი. მშენებლობის მასშტაბებიდან გამომდინარე, შესაძლოა შპს „აგრო მოლი“-ს (ს.ნ 418476125) დასჭირდეს დამატებითი დრო მშენებლობის დასრულებისა და შენობის ექსპლუატაციაში მიღებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აგრო მოლი“ (ს.ნ 418476125) ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას ორი წლით, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1694 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.013 (ახალი ს/კ 66.46.26.003.614)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და ნანა პეტრიაშვილს შორის 2020 წლის 29 ივნისს გაფორმებული №7 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: ქალაქი გორი, ცხინვალის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 1694 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.013 (ახალი ს/კ 66.46.26.003.614)) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 5 (ხუთი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე